

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p style="text-align: center;">შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 1 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება ბერლინის მიწის ლტოლვილთა და თავშესაფრის მამიებელთა საცხოვრებელში.

ამ საცხოვრებლის შინაგანაწესი მოიცავს წესებს საცხოვრებელში თანაცხოვრების მოწყობისთვის, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ყველა იმ ადამიანზე, რომელიც აქ ცხოვრობს ან მუშაობს, სტუმრების ჩათვლით. ამის მიზანია, რომ ურთიერთპატივისცემით, ძალადობის გარეშე იყოს შესაძლებელი ერთობლივი ცხოვრება.

გერმანიაში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. ეს, ასევე, ნიშნავს იმას, რომ არავინ უნდა იყოს პრივილეგირებული ან დაჩაგრული სქესის, წარმომავლობის, ენის, საცხოვრებელი თუ დაბადების ადგილის, რწმენის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულების, სექსუალური ორიენტაციის, ასაკობრივი თუ რასობრივი ნიშნით. რასობრივი საფუძველი არსებობს მაშინაც, როდესაც ადამიანი მხოლოდ გარეგნული ნიშნის, მაგალითად კანის ფერის, გამო იჩაგრება. არავინ უნდა დაიჩაგროს უნარშეზღუდულობის გამო.

გერმანიაში, განსაკუთრებით ქალთა და მამაკაცთა სამართლებრივი თანასწორობა სახელმწიფოებრივად გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალებსა და მამაკაცებს ცხოვრების ყველა სფეროში ერთი და იგივე უფლება-მოვალეობები აქვთ. არავინ უნდა დაიჩაგროს მხოლოდ იმის გამო, რომ ის ქალი ან კაცია.

ადამიანებს, რომლებსაც ფიზიკური ლტოლვა გააჩნიათ იგივე ან ორივე სქესის წარმომადგენლების მიმართ (გეები, ლესბოსელები, ბისექსუალები), ასევე ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ვერცერთ სქესს ვერ მიაკუთვნებენ ან ბიოლოგიური სქესი არ ემთხვევა აღქმულ სქესს (ინტერ- ან ტრანსსექსუალები), გერმანიის სახელმწიფო გარანტიას აძლევთ, რომ მათი უფლებები იქნება დანარჩენი ადამიანების იდენტური და არ შეიძლება მათი ჩაგვრა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო. ბინადრები, რომლებიც ადამიანთა ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან, უნდა იყვნენ პატივისცემით მოპყრობილნი და საცხოვრებელში არავის აქვს მათ მიმართ მტრულად განწყობის ან სხვა გზით დისკრიმინაციის უფლება.

მამასახლისის მოვალეობაა, ყურადღება მიაქციოს, რომ წესები ერთნაირად დაიცვას ყველა ადამიანმა, რომელიც მუდმივად ან დროებით იმყოფება ამ საცხოვრებელში.

§ 1 შინაგანაწესი

1. შინაგანაწესი არის წესთა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, ვის შეუძლია შენობაში შესვლა ან დარჩენა და როგორ უნდა მოიქცნენ ბინადრები, მამასახლისისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, სტუმრები, მოხალისეები და პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები.

მამასახლისი შინაგანაწესს ასრულებს ბერლინის მიწის დავალებით და უზრუნველყოფს წესრიგს საცხოვრებელში. ამასთან, მას იცავს უსაფრთხოების სამსახური.

ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)	შინაგანაწესი	გვერდი 2 სულ 11
	მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე	განახლების თარიღი: 07.12.2020.

2. ბინადრების პირადი სივრცე მაცხოვრებლებს, მამასახლისსა და უსაფრთხოების სამსახურს შორის უნდა იყოს გათვალისწინებული. მამასახლისმა შეკეთებისა და რეგულარული შემოწმებების დრო წინასწარ უნდა გამოუცხადოს და შეუთანხმოს ბინადრებს. მიზნობრივი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს წინასწარი განცხადების შემდეგ ბინადრების თანხმობით, მათი თანდასწრებით და პირადი სივრცის გათვალისწინებით. ოთახში შესვლამდე უნდა დააკაკუნოთ და შესვლის ნებართვას დაელოდოთ.

მამასახლისსა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, ასევე პასუხისმგებელ მარეგულირებელ ორგანოებს არ აქვთ უფლება ნებართვის გარეშე შევიდნენ ბინადრის ოთახში, თუ არ არსებობს რაიმე საშიშროება. განსაკუთრებული საშიშროება არსებობს, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანებს ან ქონებას. როგორც ბინების შემთხვევაში, ისე მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლების ოთახებში ლტოლვილების პირადი სივრცე დაცულია კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად. პირადი სივრცის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე. ბინადრობის აქტში არსებობს ასეთი სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, ჩხრეკა მხოლოდ სასამართლოს ბრძანებითაა შესაძლებელი.

ოთახში შესვლის შემდეგ, პიროვნების არყოფნის შემთხვევაში, ამის შესახებ ადგილზევე უნდა დაიწეროს ოქმი და ხელმძღვანელობასთან დარჩეს დოკუმენტის სახით.

3. დაუშვებელია ვაჭრობა და ნებისმიერი სახის კომერცია, ასევე რეკლამირება ეკონომიკური მიზნებისთვის.

4. ჩანთებისა და კარადების შემოწმება მხოლოდ პოლიციისთვისაა ნებადართული, თუ ამისთვის სამართლებრივი საფუძველი არსებობს.

§ 2 მოქმედების არეალი

ეს შინაგანაწესი ვრცელდება საცხოვრებლის მთლიან არეალზე. იგი სავალდებულოა ყველა ბინადრის, სტუმრის, მოხალისის, პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლების, ასევე მამასახლისისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის.

§ 3 ბინადრები

1. ამ საცხოვრებელში ბინადრის კანონიერად დარჩენის წინაპირობა არის ხარჯების დაფარვის მოქმედი დეკლარაცია ან ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (LAF) მიმართვა.
2. მუდმივი ბინადრობის უფლება არ საბუთდება დროებითი დარჩენით.
3. თითოეული ბინადარი იღებს ბინადრის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, რომელიც მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს მამასახლისს ან/და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, ამასთან ის ყოველთვის თან უნდა იქონიოთ.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p>შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 3 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

4. ბინადრების აქტიური მონაწილეობა საცხოვრებელში თანაცხოვრების მოსაწყობად ცალსახად სასურველია და მამასახლისმა ან საცხოვრებლის მმართველობამ ამას მხარი უნდა დაუჭიროს შესაბამისი შემოთავაზებებით, როგორცაა ბინადართა საბჭოს ჩამოყალიბება ან სხვა ფორმის თანამშრომლობა.

5. თითოეული ბინადარი ვალდებულია ეკონომიურად მოიხმაროს ელექტროენერგია, წყალი და გათბობა.

6. გარე ანტენების დამონტაჟება შეიძლება მხოლოდ მამასახლისის წინასწარი თანხმობით და ბერლინის მიწაზე მოქმედი კანონებისა და რეგულაციების გათვალისწინებით.

7. ბინადრებს ასევე აქვთ უფლება ისარგებლონ საერთო ოთახებით, რომელთა მოხმარებაც შეუძლიათ განსაზღვრულ ადამიანთა ჯგუფებს. სარგებლობის დროებს მამასახლისი აწესებს. საერთო ოთახების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მაგალითად, შეხვედრებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ტელევიზორის ერთად საყურებლად ან სასწავლო კურსებისთვის. დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ საცხოვრებლის თანამშრომლებს.

8. საცხოვრებლის დროებით, ერთ დღეზე მეტი ხნით, დატოვებისა (საავადმყოფოში დარჩენა, საზღვარგარეთ ოფიციალური შეხვედრები ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი) და გადასვლის შესახებ საცხოვრებლის ხელმძღვანელობა მყისიერად უნდა იყოს ინფორმირებული. თუ საცხოვრებლის დატოვება წინასწარაა დაგეგმილი, საცხოვრებლის ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად ადრე უნდა იყოს ინფორმირებული. თქვენი მიზეზით ინფორმაციის არ მოწოდების გამო საცხოვრებლის დატოვების მესამე დღიდან შესაძლებელია დაკავებულ ოთახზე უფლება დაკარგოთ.

9. იმ საცხოვრებლის ბინადრებს, რომელიც არ არის მიმღები დაწესებულება, ეხებათ შემდეგი:

წინასწარ დაგეგმილი სამ დღეზე მეტი ხნით არყოფნის შემთხვევაში შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის შენარჩუნება, თუ არყოფნას საფუძვლად უდევს მნიშვნელოვანი მიზეზი (მაგ. ჰოსპიტალიზაცია, საზღვარგარეთ ოფიციალური შეხვედრები, საზღვარგარეთ ნებადართული საქმიანობა, ისეთ მნიშვნელოვან საოჯახო ღონისძიებაში მონაწილეობა, როგორცაა ქორწილი, პანაშვიდი და ა.შ.). ამისთვის საჭიროა იმ დაწესებულების თანხმობა, რომელიც გასცემს სოციალურ დახმარებას (LAF, დასაქმების ცენტრი, საოლქო დაწესებულება)

ბინადრებს, რომლებიც დახმარებას LAF-სგან იღებენ, საცხოვრებელში ადგილის დაკარგვისა და სხვა საცხოვრებელში გადასვლის საჭიროების გარეშე შეუძლიათ საცხოვრებლის დატოვება ზემოხსენებული მიზეზით წელიწადში 20 დღით, თუ ყველაფერი კანონის ფარგლებში განხორციელდება. განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში (მაგ. ხანგრძლივი დროით საავადმყოფოში დარჩენა) შესაძლებელია ნებართვის გაცემა 20 დღეზე მეტი ხნით.

საცხოვრებლის დატოვებასთან დაკავშირებით წინასწარ უნდა განაცხადოთ LAF-ში.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p style="text-align: center;">შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 4 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

თუ არ იცით, ვის მიმართოთ საცხოვრებლის დატოვების ნებაბართვაზე მოთხოვნით, საცხოვრებლის თანამშრომლები დაგეხმარებიან.

10. კრიზისულ სიტუაციებში (მაგ. მწვავე ავადმყოფობა, მუქარა ან ძალადობრივი შეურაცხყოფა) ბინადრებისთვის ყოველთვის მზადაა მამასახლისი ან უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი. მათ შეუძლიათ ასევე გამოიძახონ გადაუდებელი დახმარების სამსახურები. საცხოვრებლის თანამშრომლები შეეცდებიან ბინადრებს დაეხმარონ განსაკუთრებულად დამაბული სიტუაციების განმუხტვაშიც. სხვა შეკითხვები და საკითხები სამუშაო საათებში შეგიძლიათ განიხილოთ მამასახლისთან ან LAF-ის საჩივრების მენეჯერთან (ელფოსტა: unterkunft-qs-beschwerde@laf.berlin.de).

§ 4 სხვა პირები

1. ბინადრებს შეუძლიათ სტუმრის საკუთარ ოთახში მიღება. სტუმრობის წესებს, კონკრეტულად სტუმრად მოსვლის დროებს, არეგულირებს საცხოვრებლის ხელმძღვანელობა LAF-თან შეთანხმებით. საცხოვრებლის ხელმძღვანელობა ბინადრებს სათანადოდ მიაწვდის სტუმრობის წესების შესახებ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია ასევე მოიცავს მითითებას იმის შესახებ, სტუმრობა მხოლოდ დღის განმავლობაშია შესაძლებელი თუ კონკრეტული პირობების შემთხვევაში სტუმრებს ღამით დარჩენაც შეუძლიათ.

2. ბინადრების სტუმრები, ასევე მოხალისეები და პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები ვალდებული არიან იდენტიფიცირებისათვის თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი თანდართული სურათით (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი, მოსწავლის ბარათი ან მსგავსი) და დაფიქსირდნენ როგორც შენობაში შესვლის, ისე დატოვების დროს. ისინი მიიღებენ სტუმრის საიდენტიფიკაციო ბარათს. სტუმრების, მოხალისეებისა და პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლების პირადი მონაცემების მამასახლისის ან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ აღრიცხვა და დამუშავება არ არის ნებადართული.

3. პირები, რომლებიც ობიექტზე უნებართვოდ იმყოფებიან, არღვევენ სხვისი საკუთრების უფლებებს და უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს შესაბამის უწყებას ეცნობება. დამხმარებისა და სტუმრების დროები იქნება ცალკე გამოკრული და უნდა იქნეს დაცული.

§ 5 სისუფთავე და წესრიგი

1. საგზაო მოძრაობის ადგილებში და საცხოვრებლის გარეთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება აკრძალულია.

2. მთლიან საცხოვრებელში იკრძალება მოწევა; მათ შორის ჩილიმისა და ელექტრო სიგარეტის. ბინადრებს მოსაწევად მხოლოდ გარეთ, სპეციალურად გამოყოფილი ადგილებით სარგებლობის უფლება აქვთ. ბინადრებმა თვითონ უნდა იზრუნონ ამ ადგილების სისუფთავეზე.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p>შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 5 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

3. ოთახის მკვიდრნი არიან პასუხისმგებელნი ოთახისა და მისი ფანჯრების სისუფთავეზე. ოთახების განიავება სავალდებულოა წელიწადის ცივ სეზონზე (ჩვენ გირჩევთ პერიოდულ განიავებას, არა უწყვეტ განიავებას გაფრიალებული ფანჯრით).

4. სახლი, საცხოვრებელი და საძინებელი სივრცეები, ასევე საერთო სარგებლობის ტერიტორიები და ოთახები (მაგ. საერთო სამზარეულოები და სანიტარული ოთახები) ყოველთვის უნდა დატოვოთ სუფთა მდგომარეობაში. ის, ვინც დააბინძურებს, ვალდებულია ადგილი მყისიერად და დამოუკიდებლად დაასუფთავოს. გასართობი სივრცეები (როგორცაა სათამაშო ოთახი ან საშინაო დავალების ოთახი) სუფთა მდგომარეობაში უნდა დატოვოთ.

5. ბინადრებს ოთახებში საკუთარი ავეჯის შეტანა საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შეუძლიათ. ეს არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამტებითი ნივთების მოტანა არღვევს კანონს, გამოიწვევს გამოყენებადი საცხოვრებელი სივრცის მნიშვნელოვან შემცირებას ან სხვა ბინადრებს არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, დამატებითი ავეჯი მფლობელის პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება. ეს გულისხმობს, ასევე, საცხოვრებლის დატოვებისას ამ ნივთებისგან ოთახის დაცლას.

6. ბინადრის კუთვნილი ხალიჩები არ უნდა იყოს იატაკზე მყარად დამაგრებული. ბინადარმა ხალიჩები კვირაში ერთხელ მტვერსასრუტით უნდა გაწმინდოს, აკეცოს და იატაკი სველი ტილოთი მოწმინდოს. ხალიჩები წელიწადში ერთხელ სარეცხი საშუალებით უნდა გაირეცხოს (§ 36 ინფექციისგან დაცვის კანონი - ზოგადი ჰიგიენის გეგმა).

7. თუ საწოლის ჩარჩოები არ გამოიყენება დასაძინებლად, ლეიბები მუდმივად არ უნდა ეწყოს იატაკზე, დღის განმავლობაში უნდა ინახებოდეს საწოლზე, რათა სათანადოდ განიავდეს და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ოთახის სწრაფ დაცლას ხელი არ შეუშალოს. საცხოვრებლებში იატაკქვეშა გათბობის არსებობის შემთხვევაში ლეიბები არ უნდა განთავსდეს იატაკზე.

8. იმისთვის, რომ მიწების გაჭედვა თავიდან იქნეს აცილებული, ნაგვის, საჭმლის ნარჩენების ან მსგავსი მასების ჩაყრა კანალიზაციაში არ შეიძლება. არ შეიძლება საყოფაცხოვრებო და სამზარეულო ნარჩენების, ქაღალდის გორგოლების, ჰიგიენური საფენებისა და მსგავსი საგნების უნიტაზებსა და სადრენაჟე მიწებში ჩაყრა. ესენი უნდა ჩაიყაროს მათთვის განკუთვნილ ნაგვის კონტეინერებში.

9. საცხოვრებლის კუთვნილ ავეჯს სიფრთხილით უნდა მოეპყროთ. ყველა ბინადარი ვალდებულია თავიდან აიცილოს როგორც მოწყობილობების, ისე შენობის დაზიანება. დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მამასახლისის პერსონალს. აკრძალულია თვითნებურად ლურსმნების, კაუჭების, ჭანჭიკებისა და მსგავსი საგნების დამაგრება. კედლის შეკეთების თხოვნით შესაძლებელია საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან მიმართვა და თანხმობის შემთხვევაში მამასახლისი შეასრულებს საქმეს.

10. ინფექციისგან დაცვის კანონისა და ზოგადი ჰიგიენის გეგმის § 36-ის თანახმად – ნარჩენები უნდა განცალკევდეს, შეგროვდეს პარკებში ან საფარებლიან კონტეინერებში და ყოველდღიურად გადაიყაროს.

ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)	შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე	გვერდი 6 სულ 11
		განახლების თარიღი: 07.12.2020.

11. საცხოვრებელში შესვლისას ყველა ბინადარი იღებს თეთრეულს, პირსახოცებსა და ჭურჭელს. პირსახოცები უნდა გაირეცხოს ყოველკვირეულად, თეთრეული, ყველაზე გვიან სამ კვირაში ერთხელ, მინიმუმ 60 გრადუსზე (§ 36 ინფექციისგან დაცვის კანონი - ზოგადი ჰიგიენის გეგმა).

12. ბინადრები საკუთარ სარეცხს დამოუკიდებლად ირეცხავენ.

ა. სარეცხის გასარეცხად შესაძლებელია უფასო სარეცხის მანქანებით სარგებლობა. ისინი უნდა მოიხმაროთ სიფრთხილით, ინსტრუქციის შესაბამისად და მხოლოდ სარეცხი მანქანის შესაბამისი სარეცხი საშუალების გამოყენებით.

ბ. სარეცხის გასაშრობად შესაძლებელია სარეცხის უფასო საშრობების გამოყენება. ისინი უნდა მოიხმაროთ სიფრთხილით, ინსტრუქციის შესაბამისად. ობის გაჩენის თავიდან აცილების მიზნით, სარეცხის გაშრობა საცხოვრებელ ოთახებში ნებადართული არ არის. აივნებზე არსებულ საშრობ საკიდებზე სარეცხის გაშრობა ნებადართულია.

გ. საზიარო სარეცხი მოწყობილობების გამოყენების რისკი თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშაა.

დ. მამასახლისი ან ბერლინის მიწა არ არის პასუხისმგებელი ზიანსა ან ქურდობაზე.

ე. კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მამასახლისის პერსონალს მიმართოთ.

13. შინაური ცხოველების ყოლა აკრძალულია.

14. თუ შემჩნეული იქნება მავნებლები (მაგ. ბაღლინჯოები, ტილები, ვირთხები), დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მამასახლისს ან ხელმძღვანელობას.

§ 6 ხმაურისგან დაცვა

1. ხმაური მთლიანად უნდა იქნეს თავიდან აცილებული. ბინადრებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ყველას, მათ შორის თანამაცხოვრებლებსა და მეზობლებს. მუსიკა ნებადართულია მხოლოდ ოთახის სივრცისთვის საჭირო სიმაღლის ხმაზე.

2. წყნარი საათები გრძელდება 22:00 სთ-დან 6:00 სთ-მდე. ამ პერიოდში ხმაურიანი სამუშაოების ან აქტივობის განხორციელება ნებადართული არ არის. აქტივობები ოთახის სივრცისთვის საჭირო სიმაღლის ხმაზე ნებადართულია. ხმაურიანი სამუშაოების ან აქტივობების განხორციელება კატეგორიულად აკრძალულია კვირაობით და დასვენების დღეებში. ხმის გამომცემი მოწყობილობები და მუსიკალური ინსტრუმენტები ყოველთვის მხოლოდ ოთახის სივრცისთვის საჭირო სიმაღლის ხმაზე უნდა იყოს გამოყენებული.

3. ტელეფონით საუბარი გაღებულ ფანჯრებსა და ღია სივრცეებში ისე უნდა განხორციელდეს, რომ სამეზობლოში მცხოვრები ბინადრები გადაჭარბებულმა ხმაურმა არ შეაწუხოს.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p>შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 7 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

4. ბავშვების ზომიერი ხმაური მისაღებია. მათ თამაშის ბუნებრივი მოთხოვნილება აქვთ, ამის მიმართ ყველა ტოლერანტული უნდა იყოს. მშობლებმა მაინც უნდა იზრუნონ, რომ ბავშვებმა სხვებიც (თანამაცხოვრებლები, მეზობლები და სხვ.) გაითვალისწინონ.

§ 7 ბავშვის ეტლების, ველოსიპედების, გადაადგილების საშუალებებისა და სხვა საგნების გაჩერება

1. ბავშვის ეტლების, ველოსიპედების, გადაადგილების საშუალებებისა და სხვა საგნების კიბესთან და დერეფანში გაჩერება აკრძალულია. საავარიო და სამაშველო გზები უნდა იყოს თავისუფალი დღე-ღამის ყველა მონაკვეთში.
2. ველოსიპედები, ბავშვის ეტლები და გადაადგილების საშუალებები მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ადგილებში უნდა გაჩერდეს.
3. გაჩერებული ველოსიპედებისა და გადაადგილების სხვა საშუალებების უსაფრთხოებაზე ბინადარი თვითონაა პასუხისმგებელი. ამაზე მამასახლისი ან ბერლინის მიწა არ იღებს პასუხისმგებლობას.

§ 8 უსაფრთხოება

1. ყველა ბინადარს აქვს ვალდებულება, გაიაროს მამასახლისის ინსტრუქტაჟი ხანძრის შემთხვევაში მოქმედების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს საცხოვრებელში ჩატარებულ ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნებში.
2. ხანძრის შემთხვევაში მაშველებისა და მეხანძრეების ინსტრუქციები ისევე, როგორც დაფაზე გამოკრული წესები "ქცევა ხანძრის შემთხვევაში", უნდა იყოს გათვალისწინებული. გარე ტერიტორიაზე არსებობს შეკრების ადგილი. საავარიო და სამაშველო გზები უნდა იყოს თავისუფალი და აალებადი ნივთებისგან გაწმენდილი დღე-ღამის ყველა მონაკვეთში.
3. კვამლის დეტექტორების, კვამლის განგაშის, ხანძარსაწინააღმდეგო, სახანძრო განგაშის, სიგნალიზაციისა, სხვა უსაფრთხოებისა და შესაბამისი მოწყობილობების მოხსნა ან დაზიანება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის თითოეულ მაცხოვრებელს და არის აკრძალული.
4. საცხოვრებელ ოთახებში საკუთარი გამათბობელი და სამზარეულოს მოწყობილობების ჩართვა არ არის ნებადართული. ოთახებში სხვა ელექტრო მოწყობილობების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მამასახლისთან შეთანხმების შემდეგ. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია შემდგომი გამოყენება აიკრძალოს. მრავალმაშტოებელი ჩანგლისა და დამაგრძელების გამოყენება აკრძალულია. ანალოგიურად ნებისმიერი ფორმის ღია ცეცხლი.
5. დაუშვებელია საგნების განთავსება ფანჯრის გარე ზღურბლზე, რადგან შეიძლება ჩამოვარდეს და ვინმე დააზიანოს.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p>შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 8 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	---

6. შენობის, სარდაფისა და ეზოს კარი 22:00 საათის შემდეგ უნდა იყოს დაკეტილი. სარდაფსა და კიბის ოთახში ფანჯარა მუდმივად დახურული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საცხოვრებლის ხელმძღვანელობას - ინფექციისგან თავის დაცვიდან გამომდინარე - სხვა მითითება აქვს გაცემული.

7. თუ დერეფნის ან კიბის განათება დაზიანებულია, მამასახლისის დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, რადგან დაზიანებულმა განათებამ სხვა პრობლემა არ გამოიწვიოს.

8. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე კიბის ოთახში თამაში აკრძალულია. ბავშვებს შეუძლიათ ითამაშონ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებში (სათამაშო ოთახი, სათამაშო ადგილები, გარე კეთილმოწყობა).

9. მშობლებს ევალებათ საკუთარი ბავშვების მეთვალყურეობა. მშობლები არიან პასუხისმგებელი მასზედ, რომ ბავშვები იცავდნენ შინაგანაწესს.

10. შევსებული საინფორმაციო ფურცლები, ქვევა საგანგებო მდგომარეობაში (დანართი I), ქვევა ხანძრის შემთხვევაში (დანართი II), განგაშის გეგმა (დანართი III), საავარიო და სამაშველო გეგმა (დანართი IV), შინაგანაწესის ნაწილია და ყველა ბინადარი ვალდებულია ყურადღებით წაიკითხოს ან წერა-კითხვის არ ცოდნის შემთხვევაში მამასახლისმა უნდა წაუკითხოს ხმამაღლა და განუმარტოს.

§ 9 პასუხისმგებლობა

1. ბინადარი და სტუმარი პასუხისმგებელი არიან თავიანთ მიერ მიყენებულ ზიანზე და პასუხს აგებენ სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. ეს სამართლებრივი რეგულაციები გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან (BGB).

2. თუ ბინადრის საკუთრებას დაზიანებენ მამასახლისის ან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, ისინი პასუხისმგებელი იქნებიან ზარალზე და პასუხს აგებენ სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად (BGB).

3. საცხოვრებლის გასაღების ან ტრანსპონდერის განმეორებით დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლებელია შედეგად მიღებული ხარჯები ბინადარს დაეკისროს.

§ 10 საკონტაქტო პირი სხვადასხვა საკითხისთვის

ბინადრებს შეუძლიათ კითხვის, წინადადების, თხოვნის, პრობლემის ან საჩივრისთვის მიმართონ შემდეგ საკონტაქტო პირებსა და დაწესებულებებს:

- საცხოვრებელში ცხოვრებასთან დაკავშირებული კითხვის, თხოვნის, პრობლემის ან საჩივრისთვის მიმართეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას ან მის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირებს.
- საცხოვრებელში არსებულ საცხოვრებელ მდგომარეობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაც შესაძლებელია ხელმძღვანელობასთან. გარდა ამისა,

ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)	შინაგანაწესი	გვერდი 9 სულ 11
	მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე	განახლების თარიღი: 07.12.2020.

საჩივარი შესაძლებელია - ანონიმურად - გადაეცეს ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურს (LAF) და - მისი ამოქმედების შემდეგ - ბერლინის საჩივრების დამოუკიდებელ სამსახურს.

- ოლქის ლტოლვილთა კოორდინატორები გასცემენ ინფორმაციას ოლქში დევნილთა მხარდაჭერის შეთავაზებების შესახებ.
- ინტეგრაციისა და მიგრაციის სენატის წარმომადგენელი გასცემს სრულყოფილ ინფორმაციასა და რჩევებს, მათ შორის, ბინადრობის კანონის, ოჯახის გაერთიანების, თავშესაფრის პროცედურების, სოციალური დახმარების, საცხოვრებლის ძებნის, დასაქმების, სკოლისა და ლტოლვილთა მიღებისა და ინტეგრაციის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.
- მოხალისეობრივი ინიციატივები მოხალისე მოქალაქეების საშუალებით ეხმარება ლტოლვილებს ყოველდღიურობის გამკლავებაში, ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, სამუშაოს/საცხოვრებლის ძებნასა და მსგავს სხვა საკითხებში.

თითოეულის საკონტაქტო ინფორმაციას მამასახლისი გამოაკრავს საცხოვრებელში, ყველა ბინადრისთვის თვალსაჩინო ადგილას.

§ 11 შინაგანაწესის დარღვევა და დანაშაული

1. შინაგანაწესის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა და ადგილის დაკარგვა. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა უნდა გამოცხადდეს და დასაბუთდეს წერილობით. შესვლის აკრძალვის შესახებ წერილობითი ბრძანება ეძლევა მას, ვისაც ეხება ეს აკრძალვა.

2. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვის გამოცხადებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს LAF-ის მიერ განსაზღვრული პროცედურა. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვის გამოცხადება შეუძლია მხოლოდ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას. გამონაკლის შემთხვევებში (ბინადრებთან ან თანამშრომლებთან დაკავშირებული საფრთხე), კერძოდ, ქვემოთ მოცემული მე-3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსსაც შეუძლია დააწესოს საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა, თუ საცხოვრებლის ხელმძღვანელობა ადგილზე არ არის და ვერ ხერხდება მისი მოკლე დროში გამოძახება. სანამ საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა გამოცხადდება, უნდა არსებობდეს ორი წერილობითი გაფრთხილება. მხოლოდ მესამე გაფრთხილების შემდეგ არის საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა დაშვებული. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა გრძელდება არა უმეტეს 3 თვისა და მხოლოდ ამ საცხოვრებელს ეხება. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვა არ ვრცელდება მთელ ოჯახზე.

3. შინაგანაწესის მძიმედ დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დაუყოვნებლივ აიკრძალოს საცხოვრებელში შესვლა. საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების მყისიერი აკრძალვა მიმართულია სხვა ადამიანის ძალადობისგან დასაცავად და დაშვებულია შემდეგი მკაცრად აკრძალული მოქმედებებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარე:

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p style="text-align: center;">შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 10 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	--

- ნებისმიერი სახის მუქარა (ასევე სიტყვიერი)
- ძალადობის ნებისმიერი ფორმა (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისა და სხვა დაუცველი ადამიანების მიმართ) ან მხოლოდ მუქარაც კი
- იარაღისა და მისი მსგავსი საგნების ფლობა, რომლებიც აკრძალულია იარაღის შესახებ კანონით, ან ამ იარაღებით ვაჭრობა (ეს მოიცავს, კონკრეტულად, ყველა სახის ცეცხლსასროლ იარაღს, მაგრამ ასევე გარკვეულ ცივ იარაღებს). თუ გაქვთ ეჭვი ამა თუ იმ იარაღზე, არის თუ არა აკრძალული, ინფორმაციის მიიღება შეგიძლიათ პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში. მისი მდებარეობა შეგიძლიათ საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან იკითხოთ.
- აკრძალული ვაჭრობა არალეგალური ნარკოტიკებით საცხოვრებელში და მის გარეთ
- "ბულინგის" ნებისმიერი ფორმა, ანუ განმეორებითი და რეგულარული, ძირითადად ფსიქოლოგიური შევიწროება, ერთი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მიერ სხვა ადამიანის წამება და ზიანის მიყენება.
- პოლიციურად დაფიქსირებული დანაშაულები. პოლიციის საგამომიებო მოქმედებების მიმდინარეობისას საცხოვრებელში შემოსვლის აკრძალვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბინადრების ან იქ მომუშავე თანამშრომლების შესაძლო საფრთხისგან დასაცავად ხორციელდება
- მძიმე დანაშაული (მაგ. როგორცაა სექსუალური ძალადობა, სხეულის სახიფათო დაზიანება, ხანძრის გაჩენა) საცხოვრებელში
- განმეორებითი დევნა, თუ არსებობს განმეორების საშიშროება, ან თუ დაზარალებული დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე თანაცხოვრების გაგრძელებას ვერ ბედავს.

საცხოვრებელში შესვლისა და იქ გაჩერების აკრძალვის გარდა, რის შედეგადაც პირი დაუყოვნებლივ კარგავს საცხოვრებელ ადგილს, თუ შინაგანაწესის დარღვევა კავშირშია იარაღის უკანონო ფლობასთან ან არალეგალურ ნარკოტიკებთან, აგრეთვე ამ საგნებით ვაჭრობასთან, ამის გარდა მძიმე დანაშაულის ჩადენასთან საცხოვრებელში, როგორცაა ძალადობა მობინადრის ან თანამშრომლის მიმართ, შესაძლებელია ეცნობოს შებამის ორგანოებს და დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამნაშავე(ებ)ის მიმართ.

4. მაცხოვრებლებს, რომელთაც აკრძალული აქვთ საცხოვრებელში შესვლა, შეუძლიათ მიმართონ საცხოვრებლის თანამშრომლებს, რომ გაარკვიონ, ვის უნდა მიაკითხოთ ახალ საცხოვრებელში ადგილის მისაღებად.

5. აკრძალვის დაწესების შესახებ დაზარალებულებს შეუძლიათ მიმართონ LAF-ს ან ბერლინის საჩივრების დამოუკიდებელ სამსახურს (BuBs). შემდეგ LAF დაადგენს აკრძალვა სწორად იქნა დაწესებული თუ მისი მოხნაა საჭირო.

<p>ლტოლვილთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ბერლინი (LAF)</p>	<p style="text-align: center;">შინაგანაწესი მიმღები დაწესებულებებისა და საერთო საცხოვრებლებისთვის ბერლინის მიწაზე</p>	<p>გვერდი 11 სულ 11 განახლების თარიღი: 07.12.2020.</p>
--	--	--

§ 12 საცხოვრებლის დატოვება

1. თუ დატოვების თარიღი არ არის მამასახლისის ან LAF-ის მიერ დადგენილი, მაშინ ბინადრებმა შეძლებისდაგვარად მალე, სულ მცირე 2 კვირით ადრე, უნდა აცნობონ ხელმძღვანელობას.
2. სახლის გასაღები და ბინადრის პირადობის მოწმობა საცხოვრებლის დატოვებისას უნდა ჩაბარდეს.
3. საცხოვრებლის დატოვებისას საცხოვრებლის კუთვნილი ნივთები სრულად უნდა ჩაბარდეს.
4. ბინადარი ვალდებულია, საცხოვრებლის დატოვებისას თან წაიღოს ყველა ის ნივთი, რომელიც მის მიერ ან მისი მეშვეობითაა საცხოვრებელში მოტანილი, თუ 3-ზე ნაკლები არ არის. ნივთებს დატოვების შემთხვევაში ითვლება, რომ მათი გადაყრა შესაძლებელია. ეს შეიძლება შესრულდეს ბინადრის ხარჯზე. ბინადრის მიერ დატოვებული დოკუმენტები და ძვირფასეულობა მამასახლისთან დარჩება, თუ ვერ ხერხდება მესაკუთრესთან დაკავშირება. სამართლებრივი რეგულაციები ნაპოვნ ნივთებთან დაკავშირებით (§§ 965ff. BGB) უცვლელი რჩება. ეს ნიშნავს იმას, რომ დარჩენილი დოკუმენტები და ძვირფასი ნივთები ინახება ექვსი თვის განმავლობაში და ოპერატორი შეეცდება დაადგინოს მფლობელი და ინფორმაცია მიაწოდოს. თუ ამ პერიოდის განმავლობაში მფლობელისთვის დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა, ოპერატორს შეუძლია განკარგოს ეს დაკარგული ქონება.